საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსათვის 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა - 42 377.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 41 655.9 ათასი ლარი, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 4 048.0 ათასი ლარით მეტია.

2015-2016 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 80.24%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 19.74%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 0.02%.

## საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 121 629.3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 128 856.3 ათასი ლარი, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 26 705.9 ათასი ლარით მეტია.

2015-2016 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 89.5%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 0.5%, ხოლო „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 10.0%.

### საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 55 000.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 54 907.2 ათასი ლარი, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1 000.5 ათასი ლარით ნაკლებია.


2015-2016 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 92.44%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 7.23%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.33%.

### საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი


საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 4 500.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 6 014.4 ათასი ლარი, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 714.3 ათასი ლარით მეტია.



საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 95.8%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 4.1%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.1%.

### სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელი

სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 44 454.9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 44 498.6 ათასი ლარი, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 3 412.5 ათასი ლარით მეტია.






სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 90.7%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 8.7%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.6%.

### სსიპ – კონკურენციის სააგენტო

სსიპ - კონკურენციის სააგენტოსათვის 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 2 000.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 1 776.3 ათასი ლარი, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 557.5 ათასი ლარით მეტია.

2015-2016 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



სსიპ - კონკურენციის სააგენტოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 95.566%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 4.405%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.029%.

### ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია


ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 3 510.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 3 507.5 ათასი ლარი, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 221.5 ათასი ლარით ნაკლებია.



ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 78.9%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 2.7%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 18.4%.

### საქართველოს საპატრიარქო

საქართველოს საპატრიარქოსათვის 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 25 742.4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 25 696.7 ათასი ლარი, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 99.4 ათასი ლარით ნაკლებია.




საქართველოს საპატრიარქოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 89.3%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 10.4%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.3%.

**სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო  
ექსპერტიზის ეროვნული ბიურო**

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა და ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა შეადგინა 3 500 ათასი ლარი. აღნიშნული შეესაბამება გასული წლის მაჩვენებელს.


*2015-2016 წლებში გამოყოფილი  
დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება*



**სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის - საქსტატი**

სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 7 800.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 7 892.0 ათასი ლარი, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1 108.1 ათასი ლარით ნაკლებია.

*2015-2016 წლებში გამოყოფილი  
დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება*




სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 99.7%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 0.2% ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.04%.

### სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 300.0 ათასი ლარი ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 1 284.1 ათასი ლარი, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 10.6 ათასი ლარით მეტია.


2015-2016 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 99.2%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 0.8%.

### სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო


სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსათვის 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 2 300.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 1 602.2 ათასი ლარი, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 162.4 ათასი ლარით ნაკლებია.



სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 99.04%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 0.95%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.01%.

#### სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროსათვის 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 400.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 1 173.6 ათასი ლარი, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 112.4 ათასი ლარით მეტია.




სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 84.6%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 15.4%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.02%.

## პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატისათვის 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 2 100.0 ათასი ლარი ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 1 704.4 ათასი ლარი, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 449.6 ათასი ლარით ნაკლებია.

2015-2016 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლით გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა - 87.6% ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 12.4%.

## სავაჭრო-სამრეწველო პალატა

სავაჭრო-სამრეწველო პალატისათვის 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 300.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 1 290.1 ათასი ლარი, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 622.6 ათასი ლარით ნაკლებია.

2015-2016 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




სავაჭრო-სამრეწველო პალატისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლით გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა - 99.2%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 0.5%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.3%

### სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურისათვის 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 5 800.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 4 848.6 ათასი ლარი, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 461.6 ათასი ლარით მეტია.

2015-2016 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურისთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლით გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა - 93.1%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 6.9%.

### სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური

სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისათვის 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა სახსრებმა შეადგინა 6 850.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 6 263.0 ათასი ლარი, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 840.3 ათასი ლარით ნაკლებია.

2015-2016 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლით გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა 88.9%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის - 11.1%.

### სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსათვის 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა სახსრებმა შეადგინა 5 600.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 5 281.3 ათასი ლარი, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1 084.7 ათასი ლარით მეტია.

2015-2016 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 99.9%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 0.1%.

### სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური

სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა სახსრებმა შეადგინა 2 150.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 1 147.9 ათასი ლარი, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 63.2 ათასი ლარით მეტია.

2015-2016 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება






სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 98.9%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 0.7%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.4%.

**ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი**


ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდისათვის 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა სახსრებმა შეადგინა 260.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 256.5 ათასი ლარი, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 12.9 ათასი ლარით მეტია.

*2015-2016 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასივნებები და ფაქტიური დაფინანსება*



**სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი**

სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრისათვის 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა სახსრებმა შეადგინა 6 508.1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 5 951.6 ათასი ლარი, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 806.8 ათასი ლარით მეტია.




სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 99.8%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 0.2%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.002%.

### საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატისათვის 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა სახსრებმა შეადგინა 5 200.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 5 051.9 ათასი ლარი, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1 798.9 ათასი ლარით ნაკლებია.


*2015-2016 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება*



საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 75.4%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 24.6%.

### საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა სახსრებმა შეადგინა 104 000.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 103 950.8 ათასი ლარი, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 66 576.0 ათასი ლარით მეტია.



საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 97.6%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 2.4%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.01%.

### სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტისათვის 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა სახსრებმა შეადგინა 300.0 ათასი ლარი, რომლის ხარჯვაც საანგარიშო პერიოდში არ მომხდარა.

### სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“

სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“- სათვის წლიური საბიუჯეტო კანონით ასიგნებები განსაზღვრული არ იყო. თუმცა 2016 წელს განმავლობაში მიზნობრივი გრანტების სახით მიღებული სახსრებიდან ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 438.2 ათასი ლარი. სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“- სათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 85.4%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 14.6%.

**ინფორმაცია მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებსა და დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის შესახებ**

**02 00 - საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით;**

**06 02 - არჩევნების ჩატარების ღონისძიებები - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით;**

**06 03 - საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის შეუსაბამობა ძირითადად განპირობებულია ვაკანტური თანამდებობის არსებობით;**

**17 00 - სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტში - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის შეუსაბამობა ძირითადად განპირობებულია ვაკანტური თანამდებობის არსებობით, ადმინისტრაციული ხარჯების დაზოგვით, ასევე ავტომანქანების დაზღვევაზე ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიით;**

**20 00 - ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის 30%-ზე მეტი სხვაობა გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფით;**

**21 00 - დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფით.**

**23 05 - საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის შეუსაბამობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ 2016 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობის ფარგლებში 3 რეგიონალური ტრენინგის ნაცლად განხორციელდა მხოლოდ 2 ტრენინგი (აღნიშნული გამოწვეული იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის შესაძლებლობების გაძლიერების ინსტიტუტში მიმდინარე რეორგანიზაციის მიზეზით);**

**24 01 02 – სახელმწიფო ქონების მართვა - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის სარეზერვო და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდებიდან თანხების გამოყოფით;**

**24 01 03 - მეწარმეობის განვითარება- დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის სარეზერვო და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდებიდან თანხების გამოყოფით;**

**24 03 – სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება - დაზუსტებულ ასიგნებებს და საკასო ხარჯს შორის სხვაობა გამოწვეულია წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;**

**24 06 - საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში "გათავისუფლებული ფრენების" მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა) - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა განპირობებულია ასიგნებების ნაწილის გადანაწილებით სხვა პრიორიტეტული ღონისძიებების განსახორციელებლად;**

**24 07 - ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაცია - დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 105 გამოსასყიდი ნაკვეთიდან გამოსყიდულ იქნა მხოლოდ 17 მიწის ნაკვეთი, ვინაიდან დანარჩენ ნაკვეთებზე ვერ განხორცილდა გამოსყიდვასთან დაკავშირებული სამუშაოების/პროცედურების შესრულება მათზე პირველადი რეგისტრაციის არარსებობის გამო;**

**24 08 - ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება (IBRD) - პროექტის ეფექტურობისათვის (Front End Fee) საკომისიოს სახით IBRD-სათვის გადარიცხულ იქნა 100 000 აშშ დოლარის (გეგმის შესაბამისად) ექვივალენტი 234.0 ათასი ლარი გადარიცხვის მომენტისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად, რამაც გამოიწვია დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის მცირე შეუსაბამობა;**

**24 10 - სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამების ასიგნებებში თანხების გადანაწილებით, ხოლო სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის განპირობებულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;**

**26 01 - სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის განპირობებულია საქართველოს მთავრობის სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან თანხების გამოყოფით;**

**26 08 - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა - სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის განპირობებულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;**

**26 09 - მიწის ბაზრის განვითარება (WB) - „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებული იქნა მხოლოდ 2016 წლის ივნისში, თუმცა საკანონმდებლო პაკეტი სრულად 2016 წლის 1 სექტემბერს ამოქმედდა. ამავე პერიოდში დასრულდა სისტემური რეგისტრაციის საერთაშორისო კონსულტანტის შერჩევის პროცედურები, რომელმაც შეიმუშავა რიგი სახელმძღვანელოები.**

შესაბამისად გახანგრძლივდა პროექტის დაწყების პროცესი. ყოველივე ზემოაღნიშნულმა განაპირობა სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის.

**26 12 - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა -** სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის განპირობებულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

**27 03 - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება -** დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შესაბამისა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე და 43-ე მუხლების თანახმად, უნდა განხორციელდეს როგორც სპეციალური პენიტენციური სამსახურის კანონით განსაზღვრულ თანამშრომელთა სერთიფიცირების გავლა, ასევე გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამსახურეთათვის პირველადი მომზადების სასწავლო კურსების და სავალდებულო სპეციალური პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსების გავლა. შესაბამისად აუცილებელი გახდა აღნიშნული პროგრამული კოდის ასიგნებების გაზრდა.

**28 01 02 - საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა -** პროგრამული კოდის დაზუსტებული ასიგნებების გაზრდა, სხვა პროგრამული კოდების ასიგნებების შემცირების ხარჯზე, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ წლის განმავლობაში განხორციელდა ნებაყოფლობითი ფინანსური კონტრიბუციის შეტანა დამატებით 2 ფონდში;

**29 05 - ინფრასტრუქტურის განვითარება -** სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია ზოგიერთი ინფრასტრუქტურული პროექტის დაფინანსების მიზნით ასიგნებების გაზრდით, სხვა პროგრამული კოდების ასიგნებების შემცირების ხარჯზე;

**30 04 - შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა -** სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია სამინისტროს თანამშრომელთა მკურნალობის დაფინანსების მიზნით ასიგნებების გაზრდით, სხვა პროგრამული კოდების ასიგნებების შემცირების ხარჯზე;

**32 02 04 - წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება -** სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის გამოწვეულია, ეროვნულ და სასწავლო ოლიმპიადაზე გამოვლენილ მოსწავლეთა რაოდენობისა და მედლების შესახებ წინასწარ ზუსტი მონაცემების არ არსებობით და კომპანიისთვის არასათანადოდ შესრულებული სამუშაოს გამო ოქროსა და ვერცხლის მედლების უკან დაბრუნებით.

**32 02 06 - მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა -** დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტებს შორის სხვაობა გამოწვეულია 2016-2017 სასწავლო წლისათვის დაზუსტებული ბენეფიციარების, წინა წლებში არსებული ნაშთისა და სკოლებში არსებული ვარგისი სახელმძღვანელოების გათვალისწინებით დაგეგმილზე ნაკლები რაოდენობით სასკოლო სახელმძღვანელოების შესყიდვით და შესაბამისად ასიგნებების ნაწილის გადანაწილებით სხვა პრიორიტეტული ღონისძიებების განსახორციელებლად;

**32 02 09 - ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობა -** დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტებს შორის სხვაობა გამოწვეულია მსჯავრდებულების მხრიდან პროფესიულ განათლებაზე გაზრდილი მოთხოვნით, ხოლო დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ

თანხებს შორის სხვაობა - ბენეფიციართა რაოდენობისა და პროგრამების ნუსხის შესახებ მოწოდებული ინფორმაციის დაგვიანებით;

**32 02 10 - ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა და მონიტორინგი** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია ასიგნებების ნაწილის გადანაწილებით სხვა პრიორიტეტული ღონისძიებების განსახორციელებლად, ხოლო სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის გამოწვეულია სასტუმრო მომსახურების შესყიდვისას ტენდერის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიით;

**32 04 03 - უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია ასიგნებების ნაწილის გადანაწილებით სხვა პრიორიტეტული ღონისძიებების განსახორციელებლად.

**32 04 05 - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან თანხების გამოყოფით, ხოლო დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

**32 05 02 - სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები** - სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის გამოწვეულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

**32 06 02 04 - სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება** - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტებს შორის სხვაობა გამოწვეულია ასიგნებების გადანაწილებით ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურისა და ზოგასაგანმანათლებლოს სკოლების დაფინანსების მიზნით;

**33 02 - ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის განპირობებულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით. აგრეთვე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროგრამების ასიგნებებში თანხების გადანაწილებით სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და სხვადასხვა ღონისძიებების შესასრულებლად;

**34 03 - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის განპირობებულია ასიგნებების ნაწილის გადანაწილებით სხვა პრიორიტეტული ღონისძიებების განსახორციელებლად, ხოლო დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის - წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

**35 01 03 - დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა-**  
დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

**35 02 04 - სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში** - „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათები ამოქმედდა 2016 წლის სექტემბრიდან რამაც გამოიწვია ახალი პროგრამული კოდის დამატება და შესაბამისი ასიგნებების გათვალისწინება სხვა პროგრამული კოდების ასიგნებების შემცირების ხარჯზე. აღნიშნული კი განაპირობებს სხვაობას დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის;

**35 03 02 03 - ეპიდზედამხედველობა** - პროგრამული კოდის დაზუსტებული ასიგნებების გაზრდა სხვა პროგრამული კოდების ასიგნებების შემცირების ხარჯზე გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პროგრამას დაემატა შავი ზღვისპირეთის საკურორტო ზონების საბონიფიკაციო სამუშაოების კომპონენტი.

**35 03 02 07 - ტუბერკულოზის მართვა** - დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

**35 03 02 08 - აივ ინფექცია/შიდსის მართვა** - დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

**35 03 02 12 - C ჰეპატიტის მართვა** - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების მიერ აივ-ინფექცია/შიდსზე დაგეგმილთან შედარებით დაფიქსირდა მოცვის დაბალი მაჩვენებლები. C ჰეპატიტის ელიმინაციის უპრეცედენტო პროექტის მიზნის მისაღწევად პროგრამის ფარგლებში 2016 წელს დაგეგმილი იყო ყოველთვიურად 2 000 - 2 500 პაციენტის მომსახურება. ამასთან, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ახალი მედიკამენტის (ჰარვონი) მიწოდება ბენეფიციარებისთვის დაიწყო მარტიდან, ხოლო მკურნალობის კომპონენტში ჩართვის კრიტერიუმები გამარტივდა 2016 წლის ივნისიდან, რამაც წლის დასაწყისში გამოიწვია დაგეგმილზე ნაკლები რაოდენობის პაციენტების ჩართვა. შესაბამისად, ასიგნებები გადანაწილდა სამინისტროს სხვა პროგრამულ კოდებზე.

**35 03 03 05 - ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა** - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ დაგეგმილი იყო ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული კომპონენტის მოცვის გაფართოვება, ხოლო კლინიკების მხრიდან დაფიქსირდა პროგრამის მიმწოდებლად დარეგისტრირების დაბალი ინტერესი. შესაბამისად, ასიგნებები გადანაწილდა სამინისტროს სხვა პროგრამულ კოდებზე.

**35 03 03 09 - რეფერალური მომსახურება** - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია სამედიცინო დახმარების მსურველ მოქალაქეთა მომართვიანობის გაზრდით (პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იქნა როგორც ინდივიდუალური საკითხების განხილვა, ასევე, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერიტორიებზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების და საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირების სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, გულის თანდაყოლილი მანკით დაავადებული პაციენტების მომსახურება, HER-2 რეცეპტორდადებითი ადრეული ძუძუს კიბოს დიაგნოზის მქონე პირის მედიკამენტ ტრასტუზუმამით უზრუნველყოფა და ა.შ.). აღნიშნულმა განაპირობა პროგრამული კოდის ასიგნებების გაზრდა სხვა პროგრამული კოდების ასიგნებების შემცირების ხარჯზე;

**35 03 04 - დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება** - 2016 წელს დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამის ფარგლებში სამედიცინო სერვისების მიმწოდებელთა მხრიდან ნაკლები იყო



შესაბამისი საჭიროების მოთხოვნა. ასევე, შეფერხდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და Global Alliance for Health and Social Compact-ს შორის ხელშეკრულების გაფორმება საკონსულტაციო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, რის გამოც ვერ განხორციელდა თანხის გადახდა. შესაბამისად, წარმოქმნილი რესურსი გამოყენებული იქნა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში წარმოქმნილი აუცილებელი ხარჯების დასაფინანსებლად.

**35 03 07 - ტუბერკულოზთან ბრძოლის რეგიონალური პროგრამა (II ფაზა) (KfW) -** გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ტუბერკულოზის ეროვნული სათაო ლაბორატორიის მშენებლობის დასრულების თაობაზე (მშენებლობა დაიწყო 2010 წელს და რიგი მიზეზების გამო შეჩერდა), რამაც გამოიწვია ახალი პროგრამული კოდის დამატება და შესაბამისი ასიგნებების გათვალისწინება სხვა პროგრამული კოდების ასიგნებების შემცირების ხარჯზე. აღნიშნული კი განაპირობებს სხვაობას დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის, ხოლო დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია დონორის მიერ პირდაპირ გაწეული ხარჯების პროექტის ანგარიშგებაში ასახვის გამო;

**35 05 - შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა -** სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის ძირითადად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ LMIS-ზე ტრენინგების ჩატარება გადაიდო 2017 წელს, გარკვეული ღონისძიებები განხორციელდა დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის რესურსით, ინსპექტორების ტრენინგის ჩატარება უზრუნველყო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ და სხვა. შესაბამისად, ასიგნებები გადანაწილდა სამინისტროს სხვა პროგრამულ კოდებზე.

**36 01 01 - ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის განხორციელება -** სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის გამოწვეულია საქართველოს მთავრობის სარეზერვო და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდებიდან თანხების გამოყოფით;

**36 02 - ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია -** სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის გამოწვეულია სამინისტროს ასიგნებებში თანხების გადანაწილებით აღნიშნულ პროგრამულ კოდზე;

**37 01 05 - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები -** სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტოს“ მიერ მომზადებული ზოგიერთი პროექტის განხორციელება არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული, შესაბამისად საწარმოების შექმნა-აღჭურვისათვის განკუთვნილი თანხები მიიმართა სხვა პრიორიტეტული ღონისძიებების დასაფინანსებლად. ამასთან, საინფორმაციო ბანკში 200-დან 300-მდე მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის განთავსება შეფერხდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების IT ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობის გამო, სტრატეგიული მარკეტინგული გეგმების შემუშავება დაახლოებით 30-მდე კოოპერატივისათვის და მათი ბრენდირება, სასაქონლო შეფუთვის/დიზაინის შექმნა და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მიმართულებით ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა 10-მდე კოოპერატივისთვის შეფერხდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფარგლებში წარმოებული პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლიდან გამომდინარე, შესაბამისი თანამედროვე მოწყობილობებით აღიჭურვა მხოლოდ რძის მწარმოებელი საწარმოები. აღნიშნულმა განაპირობა სხვაობა დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის;

**37 01 06 - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვა** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის გამოწვეულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით;

**37 01 11 - მანდარინის (არასტანდარტული) მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის გამოწვეულია ასიგნებების ნაწილის გადანაწილებით სხვა პრიორიტეტული ღონისძიებების განსახორციელებლად, ვინაიდან 2015 წელთან შედარებით ბაზარზე გამოვლინდა მანდარინის რეალიზაციის ზრდა, მათ შორის ექსპორტის ზრდა. შედეგად ფერმერების მიერ გადასამუშავებლად ჩაბარებული არასტანდარტული მანდარინის რაოდენობამ დაგეგმილზე ნაკლები შეადგინა.

**37 01 12 – დანერგე მომავალი** - პროექტის ინტენსივობიდან გამომდინარე საჭირო გახდა პროგრამული კოდის ასიგნებების გაზრდა, რამაც გამოიწვია სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის

**37 01 13 - ქართული ჩაი** - პროექტი დაიწყო 2016 წლის თებერვალში და ცნობადობის ამაღლების მიზნით, სააგენტოს მიერ ჩატარდა რიგი ღონისძიებები, მათ შორის პრეზენტაციები ყველა იმ რეგიონში, სადაც ჩაის კულტურა არსებობს. ბენეფიციარების მხრიდან ბევრი დრო დასჭირდა სასურველი პლანტაციების მოძიებას, რადგან ზოგი მათგანი საერთოდ არ იყო რეგისტრირებული. ასევე, მათიდან დაიწყო ვეგეტაციის პერიოდი და იმ პოტენციურ ბენეფიციარებს, ვისაც უკვე გააჩნიათ ჩაის პლანტაციები, არ ჰქონდათ საკმარისი დრო პროგრამის ფარგლებში წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესაგროვებლად. შესაბამისად პროექტის ფარგლებში გამოყოფილი თანხები მიიმართა სხვა ქვეპროგრამების დასაფინანსებლად. აღნიშნულმა მიზეზებმა, ასევე, ზეგავლენა მოახდინა კოდში დარჩენილი ასიგნებების ათვისებაზე;

**37 01 15 - ყურძნის შესყიდვა-გადამუშავების ხელშეწყობის ღონისძიებები** - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა განპირობებულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით;

**37 03 - მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება** - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით;

**38 06 - გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით, ხოლო დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის - წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით.

**38 08 - გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება, პრევენცია და ბუნებრივი რესურსების მართვა** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხების გამოყოფით, ხოლო დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით.

**39 01 - ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით, ხოლო სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის გამოწვეულია წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით საკასო ხარჯის ნაწილში.

**41 00 - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი** - სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის განპირობებულია აპარატისათვის საანგარიშო პერიოდში ჩამორიცხული მიზნობრივი გრანტების ათვისებით;

**45 02 - ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი** - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს საპატრიარქოს ა(ა)იპ - ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტის ასიგნებების შემცირების ხარჯზე ცენტრის ასიგნებების გაზრდით, მიმდინარე ხარჯების დასაფარად;

**49 00 - სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო** - დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის შეუსაბამობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ რამდენიმე სექტორულ კვლევაზე (სპორტული ბაზები და ტურიზმი, სპა და გამაჯანსაღებელი სექტორი, ფარმაცევტული სექტორი) სააგენტოს მიერ არ გამოცხადებულა ტენდერები და კვლევები ჩატარდა სააგენტოს თანამშრომლების მიერ. გარდა ამისა, არ განხორციელდა წლის ბოლოს დაგეგმილი ღონისძიებები, მათ შორის ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოს თაობაზე ბიზნესის განწყობისა და მათი საჭიროებების იდენტიფიცირების კვლევისათვის საჭირო საკონსულტაციო კომპანიის მომსახურების შესყიდვა, ვინაიდან გახდა ცნობილი სააგენტოს რეორგანიზაციისა ან შესაძლო ლიკვიდაციის შესახებ.

**50 00 - სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო** - სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის ძირითადად განპირობებულია ვაკანტური თანამდებობის არსებობით, ასევე არ იქნა შესყიდული მსუბუქი ავტომობილი, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მის მოვლა-შენახვასთან დაკავშირებული ხარჯების ეკონომია.

**51 00 - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი** - დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია ინსპექტორის აპარატში არსებული ვაკანსიებით და ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიით. ასევე, 2016 წელს იგეგმებოდა ინსპექტორის აპარატის ოფისის პირველი სართულის რემონტი. შენობის სიძველიდან გამომდინარე, შენობის მდგრადობის დადგენის მიზნით დაკვირვების ვადად განისაზღვრა 6 თვე (სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნის საფუძველზე), რისი გათვალისწინებითაც დაგეგმილი პროექტი სრულად ვერ განხორციელდა 2016 წელს.

**53 00 - სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური** - საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო სამსახურის ცენტრალური ოფისის სარემონტო სამუშაოების დაფინანსება. აღნიშნული სამუშაოების შესრულება ითავა საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციამ - გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP), თუმცა დონორი ორგანიზაციის შიდა პროცედურები გაჭიანურდა, სარემონტო სამუშაოების ვადებმა გადაიწია 2017 წლისათვის. ასევე, სამსახურის მიერ დაგეგმილი იყო გარემონტებული ოფისისათვის ავეჯის და ინვენტარის შეძენა, რაც სარემონტო სამუშაოების დასრულების გადავადების გამო 2016 წელს ვერ განხორციელდა. გარდა აღნიშნულისა, ტენდერში გამარჯვებულმა მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო ფოთის ბიუროს ოფისის

რემონტის დასრულება. ფოთის ბიუროს ოფისისათვის, ასევე, დაგეგმილი იყო ავეჯის და ინვენტარის შეძენა, რაც ვერ განხორციელდა სარემონტო სამუშაოების დაუსრულებლობის გამო. 2016 წელს სამსახურმა მოახდინა მიკროავტობუსის შესყიდვის ინიცირება. ავტომობილის ჩინეთიდან ტრანსპორტირების დროს ფორსმაჟორული გარემოებების გამო, ფოთის პორტი ვერ ღებულობდა გემებს და არ ხდებოდა კონტეინერების მომსახურება. შესაბამისად, ავტომობილის მოწოდება და მომწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდა 2017 წლის იანვარში. ყოველივე აღნიშნულმა განაპირობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის სხვაობა.

**56 00 - სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის შეუსაბამობა განაპირობა სამსახურში არსებულმა ვაკანსიებმა. ამასთან, დაგეგმილი იყო სამსახურსთვის შენობის გადაცემა, რის გამოც ბიუჯეტის დაგეგმვის დროს გათვალისწინებულ იქნა მიმდინარე რემონტის, ტრანსპორტის დაქირავების, სერვერისა და ქსელების ხარჯები. გამომდინარე იქიდან, რომ სამსახური კვლავ განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის შენობაში ზემოაღნიშნული ხარჯები არ იქნა ათვისებული;**

**61 00 - სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი - ვინაიდან სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი არ შეიქმნა, საკასო ხარჯიც გაწეული არ იყო**